IBSU

საბაკალავრო პროგრამების კატალოგი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

(ქართულენოვანი)

2023 წ

შინაარსი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ 3
ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი 4
ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი 9
ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი 14
ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები 19
ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი 23
ეკონომიკა 25
კომპიუტერული მეცნიერება 30
სამართალმცოდნეობა 34
საერთაშორისო ურთიერთობები 40
ჟურნალისტიკა 44
საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მართვა 47

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-ზე მეტი პროფესორი უზრუნველყოფს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს. კერძოდ: მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ბიბლიოთეკაში 25 000-ზე მეტ წიგნსა და მუდმივად განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, 30-ზე მეტი განსხვავებული მიმართულების კლუბებში ჩართვას; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობას, სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიშის შესაძლებლობას, ექსკურსიებს, პიკნიკებს, ლაშქრობებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 4500-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ფლობს უნივერსიტეტის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომს. IBSU-ს სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტს 24 ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან 70 მემორანდუმი აქვს გაფორმებული. IBSU ჩართულია Erasmus+-ისა და DAAD-ის პროექტებში.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2

საფოსტო ინდექსი: 0131

+995 32 2595006
contact@ibsu.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე შესაბამისი პროგრამის განყოფილებაში
https://ibsu.edu.ge/ge/bachelors/

ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოა მათემატიკის/ისტორიის ჩაბარება. აბიტურიენტმა შემდეგი უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის და მარკეტინგის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და შეუძლია ბიზნესის სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება მარკეტინგის მიმართულებით.

კურსდამთავრებულმა იცის:

- ეროვნული და გლობალური ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს კრიტიკული გააზრების და აღწერის მეთოდები;
- ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა;
- ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების პრინციპები და მათი სარგებლიანობა.
- ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის ბიზნეს–გარემოში მიმდინარე ცვლილებების ანალიზის პრინციპები;
- ბიზნეს-სექტორის ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, მისი მნიშვნელობა

ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის;

- ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად მეთოდოლოგიასა და მეთოდებზე დაყრდნობილი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების და დებულებები, შესაბამისი ცნებების და კონცეფციების განმარტება და შინაარსი, პრობლემების გამოკვეთის და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მეთოდები;
- ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის, ტურიზმის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები;
- ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების პრინციპები და მათი სარგებლიანობა.
- ფინანსური მენეჯმენტის როლი ბიზნესის განვითარებაში; სტრატეგიული მარკეტინგის პრინციპები;
- მარკეტინგის მართვის პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები;
- ბაზრის მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობა და ჩატარების მეთოდები;
- მომხმარებელთა ქცევის შესწავლის და გათვალისწინების მთავარი პრინციპები და მეთოდები;
- კომპანიის ბრენდის მნიშვნელობა და ბრენდის შექმნისა და მართვის მეთოდები.

კურსდამთავრებული ფლობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს:

- ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის გარემოს ობიექტური რეალობის ახსნა, ბიზნეს-ფირმაზე, კომპანიაზე მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური პროცესების იდენტიფიცირება, თავისებურებების დემონსტრირება;
- საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ საბაზრო გარიგებების დამოუკიდებლად ჩატარება;
- ბიზნეს-ფირმების, კომპანიების კონკურენ¬ციული უპირატესობების მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გზების დასახვა, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, ეფექტიანი მენეჯმენტური და მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება, ფინანსური დოკუმენტების, საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების მომზადება;
- ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების (მიზნის დასახვა, შესაძლებლობების ანალიზი, საქმიანი გარემოს შესწავლა, ბიზნესის წარმოების სტრატეგიის შემუშავება, ოპერატიული გეგმის შედგენა, სიტუაციური ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაციის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი გამოყენება საშუალო სირთულის პრობლემების გადასაჭრელად;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების აღმოჩენა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათი გადაჭრა, სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვა და ორგანიზება.
- მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და ოპტიმიზაცია;
- ბაზრის მარკეტინგული კვლევის ჩატარება (დამოუკიდებლად ან ჯგუფში) და მათი შედეგების ანალიზი;
- მომხმარებელთა ქცევის მთავარი პრინციპების გამოყენებით გაყიდვების და ბრენდის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება.

კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებული აქვს შემდეგი უნარები:

დასკვნის უნარი:

- რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ბიზნესის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების ამოცნობის, მასზე მოქმედი ფატორების ანალიზისა და სინთეზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- ბიზნესის სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემების შეგროვების, დამოუკიდებლად შესწავლისა და განზოგადების, მომგებიანობისა შეფასების უნარი.

კომუნიკაციის უნარი :

- ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი;
- პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადების უნარი;
- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ბიზნესთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი, როგორც ქართული, ისე ინგლისურ ენაზე;
- გუნდური მუშაობისა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, კონფლიქტების მოგვარების უნარი;
- სწავლის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი:

- ბიზნესის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სსვადასხვა კუთხით შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი;
- შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა, აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი;
- დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა.
- ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობისადმი სწრაფვა.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწიბეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- *ლექცია* - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა

აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

- ***სამუშაო ჯგუფში მუშაობა*** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- ***პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა*** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შემენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
- ***სემინარი*** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შემენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი –91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი –81 - 90 ქულა;

(C) კარგი –71 - 80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი –61 - 70 ქულა;

(E) საკმარისი –51 – 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 – 50 ქულა; , რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო საკმაოდ ფართოა, ამიტომ მას საშუალება ექნება, დასაქმდეს ეკონომიკის სხვადასხვა დარგისა და ბიზნესის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სახელმწიფო, კერძო და არაკომერციულ ორგანიზაციებში, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიონალები მარკეტინგული საქმიანობის სფეროში. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში როგორც ბიზნესის ადმინისტრირების, ისე სხვა პროფილით, შესაბამისი წინაპირობებისა და არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა ან ისტორია.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. კურსდამთავრებული აღწერს და ხსნის ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში ძირითად თეორიებსა და პრინციპებს და ხსნის მათ ურთიერთკავშირს; განსაზღვრავს საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს და აღწერს ეკონომიკის ძირითად ინსტრუმენტებს; აცნობიერებს ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემოში მიმდინარე პროცესებს და ხსნის მათ მნიშვნელობას; ფლობს საოფისე პროგრამებს და კრიტიკულად იაზრებს მათ მნიშვნელობას ბიზნეს პროცესებში; იცის ბიზნესის პროცესების კვლევის წარმართვისთვის საჭირო თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათემატიკური, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; იცის ბიზნესის და სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი გარემო.
2. აღწერს და ერთმანეთისგან განასხვავებს მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს და პრინციპებს; განსაზღვრავს მართვის დონეებს; ერთმანეთისგან განასხვევებს და ხსნია მენეჯმენტის ზოგად ფუნქციებს და ინსტრუმენტებს, ახდენს ორგანიზაციული სტრუქტურების კლასიფიკაციას და განმარტავს სტრუქტურის ფორმირების პროცესი, გაცნობიერებული აქვს და კრიტიკულად იაზრებს სხვადასხვა რგოლის მენეჯერების როლს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში და ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანებისა და გამოწვევების გადასაჭრელად; აღწერს კომუნიკაციის პროცესს და ბარიერებს, აცნობიერებს შიდა და გარე კომუნიკაციის როლს ეფექტური მართვისთვის; აღწერს და ერთმანეთისგან განასხვავებს ზეპირი და წერილობითი ბიზნეს კომუნიკაციის ფორმებს და იაზრებს მათი გაუმჯობესების გზებს; აღწერს და ხსნის ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული ქცევის ძირითადი თეორიებს და მიდგომებს; აცნობიერებს და კრიტიკულად იაზრებს ბიზნეს ეთიკისა და

კორპორატიული სოციალური პასუხიმგებლობის ძირითად პრინციპებს; გაცნობიერებული აქვს და ხსნის ორგანიზაციული ცლილებებისა და განვითარების პროცესსა და მეთოდოლოგიური პრინციპებს.

3. კურსდამთავრებული აღწერს და იაზრებს მენეჯერული გადაწყვეტილების პროცესს და მის თავისებურებებს, ერთმანეთისგან განასხვავებს ინდივიდუალური და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების სხვადსხვა მოდელებს; ხსნის მენეჯერული ფინანსების ძირითად პრინციპებს; აღწერს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებს და გაცნობიერებული აქვს მათი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოპერატიულ, ფუნქციონალურ და სტრატეგიულ დონეებზე; აცნობიერებს და ხსნის სტრატეგიული მენეჯმენტის როლს კომპანიის წარმატებაში, აღწერს და ერთმანეთისგან განასხვავებს სხვადასხვა სტრატეგიების ძირითად პრინციპებს და სახეებს, ერთმანეთისგან განასხვავებს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს, ამოიცნობს იმ ძალებს, რაც გავლენას ახდენს სტრატეგიული მართვისა და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და განსაზღვრავს იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შიდა და გარე გარემოს ანალიზში; იცის პროექტის განხორციელების ციკლი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების ტიპები და ფლობს მათ მართვასთან დაკავშირებულ თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნას.
4. კურსდამთავრებული აღწერს ბიზნესის სფეროში მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების ეფექტიანად მართვის ძირითად პრინციპებს და მოდელებს; განმარტავს და ხსნის წარმოების და ოპერაციების მართვისა და დაგეგმარების საბაზისო ფუნქციების და პრინციპების, წარმოების და ოპერაციების მართვაში გამოყენებულ სხვადასხვა მოდელებს და სტატისტიკურს მეთოდებს; განსაზღვრავს საერთაშორისო ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპებს, სტრატეგიებს და ახდენს საერთაშორისო ბიზნეს გარემოს კომპონენტების კლასიფიკაციას; აღწერს და ხსნის მცირე და საშუალო ბიზნესის მართვისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს და თავისებურებებს.

უნარები

5. კურსდამთავრებულს შეუძლია: ბიზნესზე მოქმედი მიკრო და მაკრო ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, აღწერა, შეფასება და ანალიზი; ბიზნესის სახეებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების კლასიფიკაცია და აღწერა; ბიზნეს-გეგმის შედგენა-დამუშავება; ბიზნესის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმების განმარტება და გამოყენება; საოფისე პროგრამების გამოყენება და მონაცემთა ანალიზი.
6. კურსდამთავრებულს შეუძლია: ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ სფეროებში საბაზისო ცოდნის დემონსტრირება და დისკუსიაში მონაწილეობის მიღება; ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლების დახასიათება; ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტების შეფასება და ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება; ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე მოვლენების მათემატიკური და რაოდენობრივი მახასიათებლებით ახსნა; ეთიკის ნორმების დაცვით ბიზნესის კვლევისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული მეთოდების გამოყენება; შეუძლია კვლევის შედეგების განზოგადება, შეფასება და პრეზენტაცია.
7. კურსდამთავრებულს შეუძლია: კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება, დასახული მიმართულებით გაძღოლა/მოტივაცია და კონტროლი;

დავალებათა სწორი გადანაწილება და დელეგირება; ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯმენტთან ერთად სტრატეგიულ დაგეგმვაში მონაწილეობა, სამოქმედო გეგმის შემუშავება, ორგანიზაციის ხედვისა და მისიის გათვალისწინებით ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება; სტრატეგიული მართვის პროცესში ახდენს სხვადასხვა სტრატეგიების მოდიფიცირებას, იყენებს იმ მეთოდებს რაც საჭიროა ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს სკანირებაში და ინდუსტრიის ანალზიში; მონაწილეობს კომპანიისთვის წარმატებული სტრატეგიის შემუშავებაში; კომპეტენციის ფარგლებში ეთიკურ გადაწყვეტილებათა მიღება, განხორციელება და პასუხისმგებლობის აღება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მოდელების, ფინანსური მენეჯმენტის ცოდნისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების გამოყენება; ეთიკური სტანდარების გამოყენება ბიზნესის მართვის დროს; საერთაშორისო ბიზნეს გარემოს ანალიზი და სამოქმედოდ სწორი სტრატეგიების შერჩევა; მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

8. კურსდამთავრებულს შეუძლია: ორგანიზაციული ცვლილებების ინიცირებასა და მართვაში მონაწილეობის მიღება, წარმოებისა და ოპერაციების სხვადსვა მეთოდებისა და სტრატეგიების ანალიზი და შეფასება; ლოჯისტიკის მართვისთვის აუცილებელი ინფორმაციის, ლოჯისტიკური საშუალებებისა და ლოჯისტიკური არჩევანის მოსალოდნელი შედეგების ანალიზი; სამეწარმეო საქმიანობაზე მოქმედი ცვალებადი გარემო ფაქტორების იდენტიფიცირება და მასში მიმდინარე ცვლილებების ანალიზი; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებების შეფასება და საწარმოს მიზნებიდან გამომდინარე ბიზნეს გეგმის გაწერა; ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციების ინტეგრირება რეალურ სამუშაო გარემოში; შეუძლია ზეპირი და წერილობითი, შიდა და გარე კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხელმძღვანელობა და ლიდერობა, მოლაპარაკებების წარმართვა, კოოპერირება და თანამშრომლობა, დარწმუნება და შთაგონება, სხვების და თვით-მოტივაცია, სტრესული და კომფლიქტური სიტუაციების მართვა და ცვალებად, არაპროგნოზირებად გარემოში მუშაობა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სხვადასხვა კუთხით შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის ეთიკის პრინციპების/აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვა და განხორციელება.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწიბეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი –81 - 90 ქულა;

(C) კარგი –71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი –61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება აქვს დასაქმდეს მმართველობით პოზიციაზე სახელმწიფო და კერძო სექტორის სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში, სადაც ის პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ბიზნესის და მენეჯმენტის, არამედ სხვა პროფილითაც, შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოა მათემატიკის ჩაბარება. აბიტურიენტმა შემდეგი უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული;
კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.
პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები:
პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს:
კურსდამთავრებულმა იცის:

- ეროვნული და გლობალური ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს კრიტიკული გააზრების და აღწერის მეთოდები;
- ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა;
- ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის ბიზნეს–გარემოში მიმდინარე ცვლილებების ანალიზის პრინციპები;
- ბიზნეს-სექტორის ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, მისი მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის;
- ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად მეთოდოლოგიასა და მეთოდებზე დაყრდნობილი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების და დებულებები, შესაბამისი ცნებების და კონცეფციების განმარტება და შინაარსი, პრობლემების გამოკვეთის და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მეთოდები;

- ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის, ოპერაციების მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების მართვის, ლოჯისტიკის ძირითადი პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები;
- ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათემატიკური, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების პრინციპები და მათი სარგებლიანობა.
- ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები და მეთოდები;
- ფინანსური აუდიტისა კონტროლის საფუძვლები და მეთოდები;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების თანამედროვე მეთოდები, ანალიზისა და აუდიტის ჩატარების ტექნიკა;
- თანამედროვე საბუღალტრო საინფორმაციო სისტემები;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები;
- ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების არსი და საერთაშორისო სტანდარტები;
- საგადასახადო საქმის საფუძვლები და გადასახადების ადმინისტრირება.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის გარემოს ობიექტური რეალობის ახსნა, ბიზნეს-ფირმაზე, კომპანიაზე მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური პროცესების იდენტიფიცირება, თავისებურებების დემონსტრირება;
- საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ საბაზრო გარიგებების დამოუკიდებლად ჩატარება;
- ბიზნეს-ფირმების, კომპანიების კონკურენციული უპირატესობების მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გზების დასახვა, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, ეფექტიანი მენეჯმენტური და მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება, ფინანსური დოკუმენტების, საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების მომზადება;
- ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების (მიზნის დასახვა, შესაძლებლობების ანალიზი, საქმიანი გარემოს შესწავლა, ბიზნესის წარმოების სტრატეგიის შემუშავება, ოპერატიული გეგმის შედგენა, სიტუაციური ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაციის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი და პროცესის კორექცია) გამოყენება საშუალო სირთულის პრობლემების გადასაჭრელად;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების აღმოჩენა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათი გადაჭრა, სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვა და ორგანიზება.
- ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება და ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციის ფინანსური ბალანსის შედგენა;
- კონკრეტული ფინანსური მაჩვენებლების განვითარების პროგნოზირება;
- შიდა და გარე აუდიტის განხორციელებში მონაწილეობა;
- ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების ან/და მთლიანად ორგანიზაციის აუდიტის გეგმის მომზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- თანამედროვე საბუღალტრო საინფორმაციო სისტემების გამოყენება;

- თანამედროვე ელექტრონული საშუალებები (პროგრამები) საფინანსო-სააღრიცხვო მაჩვენებლების ანალიზისა და შეფასებისათვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარგენისათვის;
- ორგანიზაციის გადასახადების დაგეგმვა და ადმინისტრირება.

კურსდამთავრებულს აქვს:

- რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ზოგადად ბიზნესის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების ამოცნობის, მასზე მოქმედი ფატორების ანალიზისა და სინთეზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდისტის სფეროში საშუალოზე მაღალი სირთულის პრობლემების გადაწყვეტის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- ზოგადად ბიზნესის სფეროში და კერძოდ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდისტის სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- ორგანიზაციის საბუღალტრო და ფინანსური დოკემენტების ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემების შეგროვების, დამოუკიდებლად შესწავლის, ანალიზის და განზოგადების, პრაქტიკული სარგებლიანობის შეფასების უნარი.

კურსდამთავრებულს აქვს:

- ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, საშუალო სირთულის პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი;
- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სფეროში საშუალოზე მაღალი სირთულის პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი;
- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სფეროში პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადების უნარი;
- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ბიზნესთან ზოგადად და კერძოდ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდისტის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი, როგორც ქართული, ისე ინგლისურ ენაზე;
- გუნდური მუშაობისა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, კონფლიქტების მოგვარების უნარი;
- სწავლის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

კურსდამთავრებულს აქვს:

- ბიზნესის სფეროში ზოგადად და კერძოდ საბუღალტრო აღრიცხვის და აუდისტის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სსვადასხვა კუთხით შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი;

- შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი.

კურსდამთავრებულს აქვს:

- ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა, აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი;
- დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობისადმი სწრაფვა.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწიბეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

1. **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
2. **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
3. **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
4. **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
5. **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით

მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. ბაკალავრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა 51 - 85-ს ფარგლებშია. წარჩინებითი ბაკალავრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა არანაკლებ 86-ს ტოლია.

დასაქმების სფერო

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები), სადაც ის პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ბიზნესის საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის, არამედ სხვა პროფილითაც, შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულოა მათემატიკის ჩაბარება. აბიტურიენტმა შემდეგი უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება

1. კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. შეუძლია ბიზნესის სფეროს კომპლექსური საკითხების, ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის ძირითადი პრინციპები და მათი ურთიერთკავშირების გაცნობიერება;
2. კურსდამთავრებულმა იცის: ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა; ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათემატიკური, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა და პრინციპები; ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის პრინციპები;
3. კურსდამთავრებულმა იცის: ფინანსური ინფრასტრუქტურა და ინსტიტუტები; ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; ფინანსური მენეჯმენტის როლი ბიზნესის განვითარებაში; შესაბამისი რისკების შეფასება და მართვა;
4. კურსდამთავრებულმა იცის: ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების არსი; საერთაშორისო ფინანსების არსი და მნიშვნელობა, მათი გამოყენების თავსებურებები და პრინციპები;

5. კურსდამთავრებულმა იცის: საბანკო საქმის საფუძვლები; კომერციული ბანკის მართვის პრინციპები; ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა; საინვესტიციო პორტფელების შეფასების და მართვის საფუძვლები;

უნარი:

6. კურსდამთავრებულს შეუძლია: ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის გარემოს ობიექტური რეალობის ახსნა, ბიზნეს-ფირმაზე, კომპანიაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება, ორგანიზაციის ფინანსების დაგეგმვა, ანალიზი და მართვა; ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთობა;
7. კურსდამთავრებულს აქვს რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრის პრაქტიკული უნარი; ბიზნესის სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების, სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვების, დამოუკიდებლად შესწავლისა და განზოგადების, მომგებიანობის შეფასების უნარი;
8. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ურთიერთობა;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესისა და ფინანსების სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სხვადასხვა კუთხით შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის ეთიკის პრინციპების/აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვა და განხორციელება.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწიბეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

- **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
- **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

ბაკალავრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა 51 - 85-ს ფარგლებშია.

წარჩინებითი ბაკალავრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა არანაკლებ 86-ს ტოლია.

დასაქმების სფერო

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები), სადაც ის პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ბიზნესის და ფინანსების, არამედ სხვა პროფილითაც, შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე, სწავლის უფლების მოპოვების შემდეგ პირმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში უნდა გაიროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა ან ისტორია ან გეოგრაფია, ამასთან აბიტურიენტმა შემდეგი უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული
კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და შეუძლია ბიზნესის სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

კურსდამთავრებულმა იცის:

- ✓ აღწერს ტურიზმის (საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა, კურორტები, დაცული ტერიტორიები, სასტუმრო ინდუსტრია) და მასთან დაკავშირებული დარგების/სფეროების (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა, ფინანსები) ძირითად კონცეფციებს, თეორიებსა და პრინციპებს.
- ✓ აანალიზებს საჯარო/არასამთავრობო, კერძო, ეროვნული და საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების როლს და ფუნქციებს და ახდენს ტურიზმთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების და მართვის საკითხების ცოდნის დემონსტრირებას, მოქმედებს ეთიკური ნორმების დაცვით და აცნობიერებს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

- ✓ მსჯელობს ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესების, ინოვაციების და გამოწვევების შესახებ, აყალიბებს მოსაზრებებს და ახორციელებს ზეპირ ან/და წერილობით კომუნიკაციას ქართულ და/ან უცხო (ინგლისურ) ენაზე
- ✓ განიხილავს ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტურიზმის სფეროს საქმიანობის პროცესებს და ტურისტული მომსახურების დაგეგმვას, განხორციელებას და მართვას;
- ✓ ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს და ახორციელებს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ტურიზმის სფეროში, გეგმავს და ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს, ადგენს ტურებს, ქმნის ტურისტულ პროდუქტებს,
- ✓ ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, იღრმავებს ცოდნას ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების/აქტივობების გამოყენებით:
ლექცია/სემინარი, ფოკუს ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევის შესწავლა/სიტუაციის ანალიზი, გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, სიმულაცია, როლური თამაში, პროექტი, ღონისძიების გეგმა, ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ინდივიდუალური მუშაობა, წიგნზე მუშაობა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.
შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.
კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:
ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.
დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო:

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს დაბალი და/ან საშუალო რგოლის მენეჯერის და/ან დარგის სპეციალისტის პოზიცია, როგორც საჯარო (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო, მუზეუმების გაერთიანება, რეგიონში მუნიციპალიტეტების კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურები და ა.შ.), ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ტურისტულ სააგენტოებში, განთავსებისა და კვების ობიექტებში, სატრანსპორტო კომპანიებსა (ლოჯისტიკა) და აეროპორტებში. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები კურსდამთავრებულებს აძლევს საშუალებას სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების სწავლების მეორე საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ეკონომიკა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა. ამასთან აბიტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებზე შეიძლება ჩააბაროს შემდეგი უცხო ენებიდან ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – (https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. განმარტავს ეკონომიკის, როგორც სოციალური მეცნიერების განვითარების ეტაპებს, აღწერს ეკონომიკის ფუნდამენტურ თეორიებს, პრინციპებს, მოდელებს და ახასიათებს ეკონომიკის ძირითადი ინსტრუმენტების გამოყენების კანონზომიერებებს;
2. განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს და მსჯელობს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის ფისკალურ, მონეტარულ და რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე;
3. აღწერს ეკონომიკის სფეროში მიმდინარე მოვლენების კვლევის ლოგიკას, განმარტავს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებს და ხსნის მათი გამოყენების თავისებურებებს;

უნარები

4. იყენებს ეკონომიკურ თეორიებს, ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებსა და მოდელებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების იდენტიფიცირებისათვის;
5. აანალიზებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული

მეთოდების გამოყენებით, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს;

6. აგროვებს სოციალური კვლევის მეთოდების გამოყენებით ეკონომიკის სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს, ახდენს მათ დამუშავებას, ინტერპრეტირებას და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შესრულებას და მიზნობრივი აუდიტორიისათვის მის პრეზენტაციას;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. იღებს პასუხისმგებლობას განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, აფასებს საკუთარ ცოდნასა და შესაძებლობებს ეკონომიკის სფეროში, განსაზღვრავს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებებს და გეგმავს საკუთარი პროფესიული უნარების განვითარებას;

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწიბეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ლექცია - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

სემინარი - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი.

სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

დამოუკიდებელი მუშაობა - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.
დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

საბაკალავრო პროგრამა შესანიშნავ გამოცდილებას აძლევს იმ პირებს, ვინც კარიერის დაწყებას სახელმწიფო და კერძო საწარმოებში გეგმავს, ამზადებს ეკონომიკის დარგში პოსტ-საბაკალავრო განათლების მიღების მსურველებს. კერძოდ, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სამთავრობო სტრუქტურებში, როგორიცაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სხვა ორგანიზაციების ეკონომიკური დეპარტამენტები. ამასთანავე, კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც სპეციალიზირდებიან ეკონომიკაში, სამეცნიერო კვლევით ცენტრებში, რომლებიც იკვლევენ ძირითად ეკონომიკურ ტენდენციებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბანკებსა და კერძო კომპანიებში. შეძლებენ სწავლის გაგრძელებას სამაგისტრო საფეხურზე.

კომპიუტერული მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კომპიუტერული მეცნიერება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა ან ფიზიკა. აბიტურიენტმა შემდეგი უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი შემდეგი კომპეტენციები.

1. ავლენს კომპიუტერული მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს დარგის მნიშვნელოვანი ასპექტების, პრინციპების და დებულებების ჩამოყალიბებას..
2. გამოკვეთს კომპიუტერული მეცნიერების ინტერდისციპლინურ ხასიათს, მის პრაქტიკულ მნიშვნელობას თეორიული ამოცანების ანალიზისა და მოდელირებისთვის.
3. განსაზღვრავს პროგრამული ინჟინერიის ძირითად პრინციპებს და ამ პრინციპების გამოყენების მნიშვნელობას კომპიუტერული პროგრამების სასიცოცხლო ციკლის რეალიზების პროცესში.
4. დაპროგრამირების სხვადასხვა პარადიგმის გამოყენებით აყალიბებს პრობლემას ალგორითმულად და ახდენს მის რეალიზაციას დაპროგრამების სხვადასხვა ენაზე.
5. აღწერს მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების ფუნქციონირების ფუნდამენტურ პრინციპებს, მონაცემთა სხვადასხვა მოდელებს, მოთხოვნათა ენებს და მონაცემთა მართვის სისტემების ადმინისტრირების პრინციპებს.

6. აღწერს კომპიუტერულ არქიტექტურას, კომპიუტერის მუშაობის პრინციპებს, კომპიუტერის ფიზიკური მახასიათებლებს, ოპერაციულ სისტემებს და მის კომპონენტებს, კომპიუტერულ მოწყობილობებს და მათ კავშირებს ოპერაციულ სისტემებთან;
7. გამოკვეთს ხელოვნური ინტელექტის როლს თანამედროვე ტექნოლოგიებში და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში; მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებით ატარებს ექსპერიმენტებს;
8. ახდენს რთული პრობლემების ანალიზს და არჩევს მათი გადაწყვეტის ოპტიმალურ მეთოდებს; ახორციელებს პრობლემების მათემატიკურ მოდელირებას, პრობლემების ალგორითმულ ამოხსნას, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, ტესტირებას და მოდიფიკაციას;
9. იყენებს კომპიუტერულ სისტემებს სხვადასხვა დარგის ამოცანების გადასაჭრელად, ამზადებს ტექნიკურ დოკუმენტაციას და წარადგენს პრეზენტაციას დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; კომპიუტერულ მეცნიერებაში ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად, ამზადებს კვლევითი ან პრაქტიკული სახის ნაშრომს; აცნობიერებს ტექნოლოგიების შექმნის და გამოყენების პოტენციურ ეთიკურ და სოციალურ შედეგებს;
10. კომპიუტერული მეცნიერების სფეროში აფასებს საკუთარ ცოდნას, ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს და ახორციელებს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით; ახორციელებს საქმიანობას პროფესიული ეთიკის პრინციპების და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწიბეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- <u>ლექცია</u> - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვა. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
- <u>სამუშაო ჯგუფში მუშაობა</u> - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
- <u>პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა</u> - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის

პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

- <u>სემინარი</u> - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
- <u>დამოუკიდებელი მუშაობა</u> - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:
ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.
დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/სტაჟრების სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა მოამზადებს საერთაშორისო დონის შესაბამის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები, მას საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც ის პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კერძოდ, შეძლებს იმუშაოს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერად, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერად, მონაცემთა ანალიტიკოსად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტად, ქსელების ადმინისტრატორად და ა.შ. კურსდამთავრებულს აგრეთვე შეუძლია სწავლა გააგრძელოს აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურზე კომპიუტერული მეცნიერებების, კომპიუტერული ინჟინერიის, საინფორმაციო მეცნიერებების, ხელოვნური ინტელექტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობებით.

სამართალმცოდნეობა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალმცოდნეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ამასთან, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს; განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე რომის სამართლის წყაროებსა და ძირითად ინსტიტუტებს;
2. სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს,

ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს; განსაზღვრავს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;

3. კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, სანივთო სამართლის სისტემას, პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალის მიზნებს, ამოცანებს, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებებს, შრომის სამართლის წყაროებს, შრომითი ურთიერთობის პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო დავების წარმოშობის მიზეზებს სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს, საკორპორაციო სამართლის სისტემას და წყაროების, ქართული საკორპორაციო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმებსა და მათ დამახასიათებელ ნიშნებს;
4. დანაშაულის არსს, სახეებს, სასჯელის სისტემას; განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
5. საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს; განსაზღვრავს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს, სისტემას, წყაროებს, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების ფუნქციებს;
6. იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) პროფესიული საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს.

უნარი

7. ამოიცნობს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;
8. იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს, ზეპირი და წერითი ფორმით;
9. შეიმუშავებს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრ აციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო

დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს;

10. შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
11. კრიტიკულად აანალიზებს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს, აფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს კონკრეტულ იურიდიულ მოქმედებებს და წყვეტს სხვა იურიდიულ ამოცანებს; მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს.
12. შეიმუშავებს სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის გზებს, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს, დავის/საქმის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

13. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებების, სამართლებრივი ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;
14. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო

პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.
სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).
შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დასაქმების სფერო

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;
- კერძო სამართლის იურიდიულ პირებში;
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო და უფლებადამცავ ორგანიზაციებში;

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს საადვოკატო, სანოტარო ან საარბიტრაჟო საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

საერთაშორისო ურთიერთობები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი შემდეგი ჩამონათვალიდან: მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია. ამასთან აბიტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებზე შეიძლება ჩააბაროს შემდეგი უცხო ენებიდან ერთერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული, ესპანური.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და განობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:

1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ძირითად მიმართულებებს, განიხილავს, განასხვავებს და აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს;
2. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ინტერპრეტირებასა და კრიტიკულ გააზრებას; განსაზღვრავს და აანალიზებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიულ კონტექსტს;
3. ახდენს თეორიული საფუძვლების ინტერპრეტირებას და აყალიბებს დასკვნებს დარგის უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და სუბდისციპლინებთან, ასევე, მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით;
4. დარგის თეორიული საფუძვლებისა და უმნიშვნელოვანესი ისტორიული და თანამედროვე მოვლენების ფართო ცოდნის საფუძველზე, განმარტავს და (შე)აფასებს საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს, აქტორების ინტერესებსა და საერთაშორისო

ურთიერთობებში ჩართულობის სპეციფიკას; აღწერს და აანალიზებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს;

5. აღწერს ევროკავშირის სტრუქტურას, განიხილავს და განმარტავს მისი ინტეგრაციის ისტორიასა და თეორიულ საფუძვლებს; პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს, პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; იაზრებს და აანალიზებს ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის როლს;
6. განმარტავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს, მათი შემუშავების სპეციფიკას; განიხილავს და აანალიზებს საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას, ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს;
7. ახდენს დარგობრივი კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების ინტერპრეტირებას, და მათ შერჩევას კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, გეგმავს და ახორციელებს კვლევას ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე;
8. აანალიზებს განხორციელებული კვლევის შედეგებს; აყალიბებს დასკვნებს და აფორმებს კვლევით ნაშრომს აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით;
9. წერს და საუბრობს თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე;
10. გეგმავს სასურველი მიმართულებით ცოდნის გაფართოებას, ახდენს საჭირო წყაროების იდენტიფიცირებას, ინფორმაციის მოპოვებასა და ინტერპრეტირებას, დამოუკიდებელად და ეფექტურად მართავს დროს.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

1. **ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.
2. **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.
3. **პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში

გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

4. **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინირებას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.
5. **დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას იმისათვის, რომ დასაქმდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში, დარგის შესაბამის საჯარო (მაგ: საელჩოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო ან სხვა სტრუქტურები, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის საკითხებში) და კერძო (არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ცენტრები, უნივერსიტეტები) სტრუქტურებში. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ განაგრძონ აკადემიური განვითარება და ისწავლონ სამაგისტრო საფეხურზე.

ჟურნალისტიკა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ჟურნალისტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჟურნალისტიკის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი შემდეგი ჩამონათვალიდან: მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება. აბიტურიენტმა შემდეგი უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – https://iro.ibsu.edu.ge/en/home.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები:

1. აქვს საფუძვლიანი ცოდნა ჟურნალისტიკის ძირითადი თეორიებისა და პრინციპების შესახებ.
2. იცის მედიაორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკა და ადმინისტრირების საფუძვლები.
3. იცის მიუკერძოებელი მედიის მუშაობის სტანდარტები, იცნობს მედიის რეგულირებისა და თვითრეგულირების ადგილობრივ და საერთაშორისო მექანიზმებს.
4. ქმნის ჟურნალისტურ მასალებს.
5. გუნდში მუშაობისას წვლილი შეაქვს მედიაპროდუქტის შექმნაში.
6. შეუძლია მედიაპროდუქტის ტირაჟირება ინტერნეტსივრცეში.
7. გამოარჩევს ინფორმაციის დიდი ნაკადიდან საჭირო ინფორმაციას, აანალიზებს მას და გამოაქვს დასაბუთებული დასკვნა.
8. შეუძლია კოლეგებთან, ასევე საზოგადოების ფართო წრეებთან ქართულ და უცხო ენაზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია.
9. მიზნობრივად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
10. აქვს პროფესიულ სივრცეში არსებული გამოცდილების ათვისების, საკუთარი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.

11. ესწრაფვის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების გაძლიერებას და წვლილი შეაქვს ინფორმირებული საზოგადოების შექმნაში.
12. იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს.

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას სტუდიებში (ბეჭდური, სამაუწყებლო (რადიო და ტელევიზია) და ახალი მედია) და სასწავლო პრესკლუბში, ცნობილ ჟურნალისტთა მასტერკლასებს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში სტაჟირებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები განისაზღვრება მაქსიმუმ 60 ქულით და დასკვნითი შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნითი შეფასების მისაღებად სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ მოაგროვა მინიმუმ 15 ქულა დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია:

ა) დასკვნითი შეფასების მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 15 ქულის მოგროვების შემთხვევაში;
ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის სფეროა:

- სამაუწყებლო (რადიო და ტელევიზია) კომპანიები;
- ბეჭდური და ონლაინ მედია კომპანიები (ვებპორტალები);
- მედიაჰოლდინგები;
- საინფორმაციო სააგენტოები;
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების პრესსამსახურები;
- საჯარო სამსახურის სტრუქტურები;
- კონსალტინგური და სარეკლამო კომპანიები;
- სარეკლამო კომპანიები

და სხვა ნებისმიერი ორგანიზაციები, სადაც საჭიროა ჟურნალისტის კვალიფიკაციის მქონე კადრი.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მართვა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESET კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტუდენტად მიიღება ნებისმიერი მსურველი, რომლსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი, წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება, ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება. ამასთან აბიტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებზე შეიძლება ჩააბაროს შემდეგი უცხო ენებიდან ერთერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული, ესპანური.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. -იხილეთ ბმულზე – (https://iro.ibsu.edu.ge/en/home)

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- გააჩნია საჯარო მმართველობის სფეროში - სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების შესახებ ფართო ცოდნა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ზემოაღნიშნულ სფეროში არსებული თეორიული ასპექტების კრიტიკულ გააზრებას;
- გააჩნია სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობის, კომპეტენციების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- იცნობს სახელმწიფო სექტორში მიმდინარე პროცესებს, რითაც მომავალი საჯარო მოხელე შეიქმნის მყარ საფუძველს თეორიული ცოდნის თვალსაზრისით და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;
- ფლობს საჯარო მმართველობის სფეროში სათანადო ტერმინოლოგიას და ასევე გააჩნია ცოდნა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის შესახებ.
- შესწავლილი აქვს საჯარო ადმინისტრაციისა და სახელმწიფო მმართველობის, ასევე პოლიტიკის, ეკონომიკის და სამართალმცოდნეობის სფეროში მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი -აქტორების ზეგავლენის ეფექტები;
- აცნობიერებს საჯარო ადმინისტრირებისა და საჯარო პოლიტიკის როლსა და ადგილს თანამედროვე პერიოდში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია საჯარო მმართველობის სფეროში სამეცნიერო ხელმძღვანელის მხრიდან მიღებული მითითებების შესაბამისად შესაბამისი კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება, რომელიც შესაძლებელია შემდგომში წარდგენილ იქნეს სხვადასხვა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა შესაბამის ღონისძიებაზე;
- შესწევს უნარი სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენოს კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჯარო სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზის მიმართულებით, შესაბამისი წყაროს მოძიების, განმარტებისა და გამოყენების მეშვეობით;
- ფლობს საჯარო ადმინისტრაციის სფეროში არსებული დოკუმენტების შემუშავების უნარს, ამასთან, შეუძლია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესები, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- შეუძლია საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე არსებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიტიკური და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება.
- *კითხვა* – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ან გამოქვეყნებული ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება;
- *წერა* – შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები და პოზიცია სხვადასხვა თემაზე; შეუძლია ანგარიშის და ანალიტიკური ხასიათის მასალის მომზადება, წერილობითი პოზიციის დაფიქსირება სხვადასხვა შეხედულებებთან დაკავშირებით;
- მოსმენა - შეუძლია დარგისთვის სპეციფიკური საჯარო გამოსვლებისა თუ აუდიო მასალის მასალის მოსმენა მისი გააზრება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.
- ლაპარაკი- შეუძლია თავისი მოსაზრებისა თუ პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბება ზეპირი სახით სხვადასხვა თემებზე;
- გარკვეულია და შეუძლია აღწეროს საჯარო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და პერსპექტივები;
- შეუძლია დასახოს გზები ორგანიზაციის შიგნით პიროვნებათშორისი და სხვადასხვა დეპარტამენტებსა და სამსახურებს შორის არსებული კონფლიქტებისა და სხვა არასასურველი მოვლენების შედეგების განეიტრალებისათვის, კონფლიქტების აღკვეთისათვის;
- მიიღოს გამოცდილება ორგანიზაციის შიგნით სხვადასხვა სტრუქტურებს შორის კომუნიკაციის განვითარებაში;
- მიიღოს გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სფეროში.
- შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში, გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;
- შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა საჯარო სამსახურში არსებული, ასევე დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით;

სწავლა-სწავლების მეთოდები (სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები)

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – ეს მეთოდი მოითხოვს ლექტორებისა და სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study) - ეს მეთოდი გულისხმობს, რომ სტუდენტებმა გააანალიზონ პრობლემური სიტუაცია და გააკეთონ საბოლოო დასკვნა. ის შეიძლება ეხებოდეს რეალური ცხოვრების მაგალითებს - რომლებიც აღებულია ჟურნალებიდან, გაზეთებიდან, წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან. შემთხვევა უმეტესად მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ფაქტების აღწერას და საკითხის დებულებას ან პრობლემას, რომელიც სიტუაციამ გამოიწვია. საბოლოოდ ხდება პრობლემური საკითხის გადაწყვეტა და შედეგის გაანალიზება.

არგუმენტების კლასიფიცირება – შემთხვევის ანალიზის ერთი-ერთი ვარიაცია. ასეთი დავალების დროს სტუდენტი შეისწავლის ფაქტებს და პრობლემურ საკითხს, ხოლო შემდეგ აყალიბებს არგუმენტების სიას. სია უნდა მოიცავდეს ყველა მხარის არგუმენტებს. მას შემდეგ რაც სტუდენტები შეისწავლიან შემთხვევის არგუმენტების კლასიფიკაციას, ისინი გადავლენ იმ ეტაპზე, როდესაც მოახდენენ თავიანთი არგუმენტების წარმოჩენას წაკითხულ მასალაზე დაყრდნობით.

ჯგუფური/ერთობლივი (Collaborative) მუშაობა - ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სხვადასხვა ტიპის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხებს და პარალელურად უზიარებენ შედეგებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

კონტინუუმი (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა)- კონტინუმმი არის მეთოდი, რომლის მიზანია წაახალისოს სტუდენტები საკამათო საკითხების ირგვლივ საკუთარი აზრის გამოხატვაში. მეთოდი ძალიან სასარგებლოა ლექციამდე და ლექციის შემდეგ მიღებული ცოდნის შესაფასებლად. ვინაიდან ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აქტივობას, როგორც წესი, იგი ხელს უწყობს ყველაზე წყნარი სტუდენტების აქტიურად ჩართვასაც.

თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება - სწავლების ისეთი სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

კრიტიკული აზროვნება – სოკრატეს მეთოდი, რომელიც იყენებს შეკითხვებს სტუდენტების ღირებულებების და პრინციპების შესაფასებლად. ხაზგასმულია არა ცოდნა, არამედ აზროვნების უნარი. ამ მეთოდისთვის საჭიროა აუდიტორიაში იყოს ისეთი გარემო, რომელსაც უწოდებენ „პროდუქტიულ დისკომფორტს“ და იყენებენ იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას სირთულეებს, კომპლექსურობას და გაუგებრობას, და არა წმინდა ფაქტებს.

დებატები – სავარჯიშო სტუდენტებისთვის, რომელიც მათ უვითარებს არგუმენტების შედგენის, დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოყენების და აღნიშნულის ზეპირი ფორმით დამაჯერებლად გადმოცემის უნარს. სტუდენტი იძენს სტრესთან და ეჭვებთან გამკლავების გამოცდილებას მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე მხარე მის პოზიციას მკაცრად აკრიტიკებს. ასეთი გამოცდილება სტუდენტებს ეხმარება ისწავლონ აღნიშნულ სიტუაციებთან

გამკლავება და აიმაღლონ თავდაჯერებულობა. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება ივარჯიშონ და გაიუმჯობესონ საჯარო გამოსვლის და რიტორიკის უნარები.

დემონსტრირების მეთოდი - სწავლების მეთოდი, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესში სტუდენტებს უვითარდებათ არგუმენტების წარმოდგენის და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი. ამასთანავე, დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კრიტიკული კომენტარების და შენიშვნების მიღების, აგრეთვე სტრესულ სიტუაციაში მათზე რეაგირების უნარს.

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება – ეხმარება სტუდენტს მოერგოს პროფესიულ როლს და გაითავისოს იგი. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს პრობლემის გადაჭრის უნარებს; ეხმარება კომუნიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში; ასევე იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა ისწავლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება პასუხობს სტუდენტის რეალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესს.

ახსნა-განმარტების მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორი და სტუდენტები დეტალურად მსჯელობენ ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით. ამ მეთოდს აქვს ორმაგი ეფექტი - სტუდენტებს განემარტებათ კომპლექსური საკითხები, ხოლო ლექტორს ეძლევა შესაძლებლობა გადაამოწმოს, რამდენად მიიღწევა საკითხების სრული გაცნობიერება.

დისკუსია „აკვარიუმის“, ე.წ. "Fish Bowl Tag Discussion" ტექნიკით - ეს გახლავთ სწავლების ისეთი მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების გონივრულად აგებულ დისკუსიაში ჩართვაზე და საჭიროებს ეფექტურად მოსმენის უნარებს. ვინაიდან ეს მეთოდი ფოკუსირებულია პირად ცოდნასა და მოსაზრებებზე, იგი კარგად მუშაობს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიებში, მათ შორის იმ აუდიტორიებში, სადაც სტუდენტებს აქვთ მრავალი განსხვავებული უნარი და გამოცდილება. თითოეული ჯგუფიდან სტუდენტები ჩართულნი არიან დისკუსიაში „აკვარიუმის“ ტექნიკით, რაც გულისხმობს იმას, რომ აუდიტორიაში სტუდენტების ერთი ნაწილი განლაგდება შიდა წრეზე საკლასო ოთახის ცენტრში, ხოლო დანარჩენები განთავსდებიან გარე წრეზე, შიდა წრის პერიმეტრის ირგვლივ. თითოეული ჯგუფიდან სტუდენტები რიგ-რიგობით იკავებენ ადგილებს შიდა წრეში, სადაც ისინი ჩართულები ხდებიან ფართო დისკუსიაში მათთვის მიცემული საკითხების ირგვლივ. თავდაპირველად ისინი საკუთარ თემას წარუდგენენ მთლიან აუდიტორიას. გარე წრეზე მსხდომი სტუდენტები უსმენენ დისკუსიას და მათ შეუძლიათ შეკითხვები დაუსვან შიდა წრეზე განლაგებულ სტუდენტებს დისკუსიის/პრეზენტაციის დასრულებისას.

ჯგუფური მუშაობა - ყოველ თემში არსებობს უამრავი რესურსი, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ეკონომიკის შემსწავლელი კურსების გამდიდრება. თემის რესურსების გამოყენება ორი ფორმით არის შესაძლებელი: ასეთი ადამიანური რესურსების სალექციო

მეცადინეობებზე მოწვევა ან სტუდენტების გაყვანა თემში ექსკურსიის სახით. საველე გამოცდილება და თემის ადამიანური რესურსების გამოყენება სტუდენტებს მრავალმხრივ ინფორმაციას, მასალებს და გამოცდილებას შესძენს, რაც არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის ხელმისაწვდომი;

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი – ინდუქციური მეთოდი გულისხმობს კერძო მაგალითებზე დაყრდნობით ინფორმაციის განზოგადების პროცესს, ხოლო დედუქცია ზოგად ინფორმაციაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შექმნას უწყობს ხელს - მსჯელობა მიმდინარეობს ზოგადიდან კერძო მიმართულებით. ანალიზი გვეხმარება მთლიანი მასალა დავყოთ შემადგენელ ნაწილებად, რაც ამარტივებს საკითხის ირგვლივ ცალკეული დეტალების განხილვის პროცესს. მეორეს მხრივ, სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების ერთ მთლიან საკითხად გაერთიანებას. აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს ეხმარება პრობლემა მთლიანობაში აღიქვან.

ინტერაქტიული ლექციები – ეს მეთოდი გულიხმობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სალექციო თემის შესახებ დისკუსიაში. მცირე ჯგუფებში ან წყვილებში ამ მეთოდის გამოყენებით, ლექტორი ხვდება, რამდენად ესმით სტუდენტებს აღნიშნული თემა, სანამ მოხდება აუდიტორიისთვის მისი დაწვრილებით ახსნა. ლექციები უფრო ინტერაქტიული ხდება, თუ სტუდენტებს შევეკითხებით საკუთარი გამოცდილების შესახებ, რაც თემასთან უნდა იყოს კავშირში. სტუდენტებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ კონკრეტული შემთხვევები, დაკვირვებები, ასახსნელ თემასთან მიმართებაში. ამასთანავე, თანაგუნდელები ხელს უწყობენ სხვებს თხრობის დროს, როდესაც არსებობს დამატებითი ხელშეწყობის საჭიროება. აღნიშნული ქმნის თავისუფალ და მეგობრულ გარემოს სწავლებისათვის.

სალექციო მეთოდი - ლექცია წარმოადგენს ლექტორის მხრიდან საკითხის ზეპირ პრეზენტაციას. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას, რაც მოიცავს მოცემულ თემასთან დაკავშირებულ პრინციპებს, ცნებებს, იდეებს და მთლიან თეორიულ ცოდნას. ლექციის განმავლობაში, ლექტორი ხსნის და განმარტავს იმ ინფორმაციას, რომლის ცოდნაც სტუდენტებს მოეთხოვებათ.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL) – ეს მეთოდი პრობლემას იყენებს, როგორც ცოდნის მოპოვების პირველწყაროს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფორმირებას. სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად ან მუშაობენ წყვილებად ან ჯგუფებად (ერთობლივი-თანამშრომლობითი მუშაობა) პრაქტიკული დავალებების ამოსახსნელად.

პროექტის შემუშავება/პრეზენტაცია - პროექტზე მუშაობა პროფესორის კონსულტაციებით და ხელმძღვანელობით ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მეცნიერული დიალოგის წარმართვას გარკვეულ ისტორიულ თემებზე / საკითხებზე / პრობლემებზე სააუდიტორიო ფორმატში. შემდგომ, სტუდენტები ინდივიდუალურად (ან თანაგუნდელებთან ერთად) ამზადებენ პრობლემაზე-ორიენტირებულ საკითხს და ახდენენ მის საჯარო პრეზენტაციას.

როლური თამაშები – ეს მეთოდი გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. მეთოდის დროს სტუდენტებს ეძლევათ ღია ტიპის სიტუაციები, სადაც მათ ევალებათ მიიღონ გადაწყვეტილება ან იმსჯელონ კონფლიქტური შემთხვევების მოგვარებაზე. როლური თამაში არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი ეხმარება მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას

და რეალურ სიტუაციასთან მიახლოებას. აღნიშნული მეთოდი საინტერესოა კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცების უნარების განვითარებისათვის. როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააცნობიერონ, თუ როგორია სხვადასხვა სიტუაციებში შესაფერისი ქცევა.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ეს მათ ეხმარება სასწავლო კურსისთვის საჭირო თეორიული საფუძვლების ფორმირებაში.

წიგნზე მუშაობის მეთოდი – ეს მეთოდი უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო ცოდნის მიღებას შესაბამისი ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით, ხელს უწყობს ცნობიერების ფორმირებას, რაც სტუდენტებს დაეხმარება დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას.

გონებრივი იერიში (Brain storming) -ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/ პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

პირდაპირი სწავლება (ლექცია), სადაც გამოყენებული იქნება: *სტრუქტურირებული პრაქტიკა* (ლექტორის მიერ პრობლემის ან ამოცანის ნაბიჯ-ნაბიჯ ანალიზი სტუდენტებთან ერთად); *მიზანმიმართული პრაქტიკა* (სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი მუშაობა და ლექტორის მხრიდან მათი სამუშაოს კონტროლი);*დამოუკიდებელი პრაქტიკა* (სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორთან უშუალო კავშირის გარეშე და დავალების წარდგენა სემინარზე).

მოდელირება, რომელიც ითვალისწინებს: მოდელირებული სავარჯიშოებში მოცემული ძირითადი კონცეფციების ახსნასა და გამეორებას, როლების, წესების, პროცედურის გაცნობას, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას, შედგების შეჯამებასა და პროცესის ანალიზს.

სიმულაცია: კომპლექსური სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც ხდება რეალურ გარემოში მიმდინარე მოვლენებზე დაყრდნობით ჰიპოთეტური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა. სიმულაციის პროცესში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ხდება როლების გადანაწილება, რესურსებით უზრუნველყოფა და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება. კონტროლდება რეალური სიტუაციის შესაბამისი პარამეტრები, და მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება უზრუნველყოფს კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას. სიმულაციის პროცესში ხდება წარსულში მიღებული ცოდნის თვამოყრა, გაღრმავება და პრაქტიკაში გამოყენება.

ესსე კინოფილმზე დაყრდნობით: სტუდენტებს საორიენტაციოდ მიეწოდებათ დაახლოებით 10 სხვადასხვა ფილმის ჩამონათვალი. სტუდენტები ინდივიდუალურად ესესთვის ირჩევენ 1 ფილმს. დოკუმენტურ ან მხატვრულ ფილმებზე დაყრდნობით სტუდენტი ამზადებს ესეს. ესე შედგება მოკლე აღწერილობითი ნაწილისგან, ესეს ძირითადი და დასვნითი ნაწილისგან. ესეს შესავალი წარმოადგენს ფილმის მოკლე აღწერილობით ნაწილს; ესეს ძირითადი ნაწილში მოცემულია ფილმში საგნის თემატიკის გაშუქების ანალიზი, შესწავლილი თეორიული მასალიდან გამომდინარე. ესეს დასკვნით ნაწილში სტუდენტი აყალიბებს თავის მოსაზრებას ფილმში განხილული კონკრეტული თემატიკიდან გამომდინარე

არგუმენტების კლასიფიცირება – შემთხვევის ანალიზის ერთი-ერთი ვარიაცია. ასეთი დავალების დროს სტუდენტი შეისწავლის ფაქტებს და პრობლემურ საკითხს, ხოლო შემდეგ აყალიბებს არგუმენტების სიას. სია უნდა მოიცავდეს ყველა მხარის არგუმენტებს. მას შემდეგ რაც სტუდენტები შეისწავლიან შემთხვევის არგუმენტების კლასიფიკაციას, ისინი გადავლენ იმ ეტაპზე, როდესაც მოახდენენ თავიანთი არგუმენტების წარმოჩენას წაკითხულ მასალაზე დაყრდნობით.

ვიდეო პრეზენტაცია- სტუდენტები დაიყოფიან რამოდენიმე ჯგუფად (დასაშვებია ინდივიდუალური მუშაობაც) და მე11 კვირაში მიეცემათ რამოდენიმე თემა ასარჩევად სფეროდან. აღნიშნული თემების ფარგლებში ისინი ამზადებენ შესაბამის მასალას მოკლე ვიდეოების ფორმატში. ისინი მოახდენენ აღნიშნული ვიდეოების პრეენტაციას და უპასუხებენ შესაბამის კითხვებს.

მრგვალი მაგიდის ფორმატი - მონაწილეობს ორი გუნდი (მოსაზრების მომხრე და მოწინააღმდეგე).

I ეტაპი- არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენა:

პირველ ეტაპზე ორივე მხარის წარმომადგენლები სათითაოდ წარმოადგენენ თავიანთ პოზიციას. აღნიშნულში ჩართულია თითოეული გუნდის ყველა მონაწილე. რეგლამენტის ფარგლებში ორივე გუნდს ეძლევა შესაძლებლობა თავიანთი არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინოს თანაბარ დროში.

II ეტაპი - რეგლამენტირებული დებატები გუნდებს შორის:

შემდეგ ეტაპზე მაქსიმუმ 3 წუთიანი კომენტარის / შენიშნვის გაკეთება შეუძლიათ გუნდების წრმომადგენელებს . კომენტარის ადრესატი გუნდის წარმომადგენელი არგუმენტირებულად აბათილებს შენიშვნას ან არგუმენტირებულ პასუხს აწვდის

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები განისაზღვრება მაქსიმუმ 60 ქულით და დასკვნითი შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
(C) კარგი – 71 - 80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
(E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

დასაქმების სფერო

საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმების ყველაზე რელევანტურ სფეროდ სახელმწიფო სექტორი მოიაზრება. კერძოდ, სახელმწიფო უწყებები ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, აღმასრულებელი და საკონმდებლო სახელისუფლებო შტოების ადმინისტრაციული რგოლები. რადგან პროგრამა სტუდენტებს აწვდის არამხოლოდ დარგისთვის სპეციფიკურ კონკრეტულ ცოდნას, არამედ ყურადღებას ამახვილებს მართვის ისეთ უნივერსალურ საკითხებზე, როგორიცაა მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა, პროექტის მენეჯმენტი, ბიუჯეტირება და სხვა., პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების არეალად მოიაზრება არამხოლოდ საჯარო და არასამთავრობო სექტორი არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები თუ კერძო კომპანიები.